

## ვებ-გვერდით სარგებლობის პირობები

მოგესალმებით [www.businessforsale.ge](http://www.businessforsale.ge)-ზე.

ეს დოკუმენტი განსაზღვრავს ვებ-გვერდით სარგებლობის პირობებს და ვრცელდება როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებზე. დოკუმენტში განსაზღვრულია ასევე შპს სტარტი - ბიზნეს გადაწყვეტილებების (შემდეგში კომპანია) უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები, რადგანაც ის ფლობს და ახდენს ვებ-გვერდის [www.businessforsale.ge](http://www.businessforsale.ge)-ს ადმინისტრირებას.

გთხოვთ, გაეცნოთ წინამდებარე დოკუმენტს და გაითვალისწინოთ თითოეული პუნქტი, ვინაიდან ვებ-გვერდზე ვიზიტით, მოთხოვნის გამოგზავნით, განაცხადის შევსებით, რეგისტრაციითა თუ ნებისმიერი მომსახურებით სარგებლობით ითვლება, რომ თქვენ ავტომატურად აცხადებთ თანხმობას „ვებ-გვერდით სარგებლობის პირობები“-თ გათვალისწინებულ პირობებზე.

### 1. შესავალი დებულებები

1.1. [www. Businessforsale.ge](http://www.Businessforsale.ge)-ს (შემდგომში „ვებ-გვერდი“) საშუალებით ვებ-გვერდის ვიზიტორებს (შემდგომში „მომხმარებელი“) შეუძლიათ გამოგზავნონ მოთხოვნები ან განათავსონ განცხადებები/შეთავაზებები ბიზნესის გაყიდვასთან, საინვესტიციო პროექტებთან კომერციულ უძრავ ქონებასთან, მიწებთან და სტარტაპებთან დაკავშირებით.

1.2. მომხმარებელი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი.

1.3. მოთხოვნების გამოგზავნა და განცხადებების გამოქვეყნება არის რაოდენობრივად შეუზღუდავი.

1.4. ვებ-გვერდზე განცხადების გამოსაქვეყნებლად მომხმარებელმა საჭიროა გაიაროს რეგისტრაცია.

1.5. ვებ-გვერდზე განთავსებული განცხადებები უნდა შეეხებოდეს მხოლოდ 1.1 პუნქტში მითითებულ მიმართულებებს.

1.6. ვებ-გვერდზე მოთხოვნის გამოგზავნის შემთხვევაში, ვებ-გვერდის ადმინისტრაცია დაამუშავებს მას და უკავშირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი ბაზაში არსებობს მოთხოვნის შესაბამისი განცხადება.

1.7. ვებ-გვერდის ზოგიერთი მომსახურება შესაძლებელია იყოს ფასიანი, რომლის პირობებიც განსაზღვრულია ამავე დოკუმენტში.

1.8. კომპანია უფლებას იტოვებს დამალოს/გამოაჩინოს, ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადების, საკონტაქტო პირის მონაცემები.

## **2. მომხმარებლის მონაცემების გამოყენება და დაცვა**

2.1. კომპანიას უფლება აქვს მიიღოს ვებ-გვერდის საშუალებით მომხმარებლის მიერ გამოგზავნილი მოთხოვნები და განცხადებები მათი გაცნობის და შემდგომი რეაგირების მიზნით.

2.2. კომპანიას უფლება აქვს მიიღოს როგორც მოთხოვნა, ასევე მის ბაზაში დაფიქსირდეს მომხმარებლის პირადი მონაცემები: სახელი გვარი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა.

2.3. მომხმარებელი ამ დოკუმენტის დადასტურებით აცხადებს თანხმობას მის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში არსებული ინფორმაციის მისი განცხადებით დაინტერესებული პირებისთვის გადაცემაზე.

2.4 კომპანიას უფლება აქვს გამოიყენოს მომხმარებლის მიერ რეგისტრირებული პირადი მონაცემები საკუთარი სარეკლამო შეთავაზებების და სიახლეების გაგზავნის მიზნით ელ-ფოსტაზე, სოციალურ ქსელში და სატელეფონო მოკლე ტექსტური შეტყობინებების სახით.

2.5. იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელს აღარ სურს მიიღოს სარეკლამო შეტყობინებები კომპანიისგან, უნდა მიმართოს კომპანიას ვებ-გვერდზე მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე.

## **3. მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდება**

3.1. კომპანია პასუხს არ აგებს გამოქვეყნებულ განცხადებებში მოცემულ ინფორმაციის ობიექტურობაზე.

3.2. კომპანიას უფლება აქვს დაარედაქტიროს მომხმარებლის მიერ გამოგზავნილი განცხადება შინაარსობრივი ცვლილების გარეშე და თარგმნოს შესაბამისად ვებ-გვერდის მიზნებისთვის.

3.3. ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადების საკონტაქტო პირის ნომრის მისაღებად მომხმარებელი ვალდებულია გაიაროს ავტორიზაცია და გადაიხადოს შესაბამისი თანხა იმისათვის, რომ მას ქონდეს საკონტაქტო მონაცემებზე წვდომა.

3.4. მომხმარებელს, რომელიც აქვეყნებს განცხადებას ვებ-გვერდზე, შეუძლია დააფინანსოს საკუთარი საკონტაქტო მონაცემები და ხელმისაწვდომი გახადოს ნებისმიერი ადამიანისთვის.

3.5. კომპანია განსაზღვრავს გადახდის ფორმას და მომხმარებელს სთავაზობს საბარათე გადახდას ლარში.

#### 4. მომხმარებლის პასუხისმგებლობა

- 4.1. მომხმარებელი უნდა დაემორჩილოს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ პირობებს.
- 4.2. მომხმარებელი ვალდებულია არ განახორციელოს ნებისმიერი ქვემოთ ხსენებული ქმედება:
  - 4.2.1. ვებ-გვერდის დაცულ ნაწილზე შესვლის მცდელობა, რისი უფლებაც მომხმარებელს არ აქვს;
  - 4.2.2. ვებ-გვერდიდან რაიმე ინფორმაციის მოსაპოვებლად ან მოსაძებნად, ვებ-გვერდის გამართულ ფუნქციონირებაში ჩარევის მიზნით ნებისმიერი ავტომატური ან მექანიკური პროცესის გამოყენება;
  - 4.2.3. ნებისმიერი სახის ვირუსული პროგრამის („worm“, „trojan horse“, „virus“, „spyware“, „carding“) გამოყენება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ვებ-გვერდის ფუნქციონირებას და საფრთხის ქვეშ დააყენებს მისი გამოყენების უსაფრთხოებას მომხმარებლისათვის;
  - 4.2.4. გამოგზავნილ მოთხოვნებში ან განცხადებებში უცენზურო სიტყვების გამოყენება ან კომპანიისთვის და მესამე პირებისთვის შეურაცხყოფის მიყენება;
  - 4.2.5. არასასურველი სპამის შესაქმნელად ვებ-გვერდის გამოყენება.
  - 4.2.6. პლატფორმის გამართულად მუშაობის საწინააღმდეგო ისეთი საფრთხის შემცველი ქმედების ან მცდელობის განხორციელება, რომლის მიზანი შესაძლებელია იყოს საწყისი კოდის გამოვლენა, რასაც ემყარება ვებ-გვერდის ფუნქციონირება.
  - 4.2.7. სხვა პირის პირადი მონაცემების მითითება მოთხოვნის ან განცხადების გამოგზავნისას.
  - 4.2.8. ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციისა და ვიზუალური მასალის კომპანიის ნებართვის გარეშე გამოყენება.

#### 5. კომპანიის პასუხისმგებლობა

- 5.1. კომპანია პასუხს არ აგებს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადების აქტუალურობაზე.
- 5.2. კომპანიის კომპეტენციაში შედის მხოლოდ მომხმარებლის მიერ გამოგზავნილი მოთხოვნის და განცხადების დამუშავება.
- 5.3. კომპანია რეკომენდაციას არ უწევს არც ერთ განცხადებას სადაც თვითონვე არ არის საკონტაქტო პირი.
- 5.4. იმ შემთხვევაში თუ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება აღარ არის მოქმედი, კომპანია პასუხისმგებლობას იღებს შესაბამისი თანხა დაუბრუნდეს მყიდველს ან მას მიეცეს წვდომა სხვა ნომერზე.
- 5.5. კომპანია იტოვებს უფლებამოსილებას თავისით დაადგინოს საფასო პოლიტიკა.

5.6. კომპანია პასუხისმგებლობას არ იღებს იმაზე, რომ მომხმარებლის მოთხოვნა აუცილებლად დაკმაყოფილდება.

5.7. კომპანია პასუხისმგებლობას არ იღებს საკუთარ თავზე რომ მომხმარებლის მიერ გამოქვეყნებული განცხადებების შედეგად მისი საკუთრების რეალიზაცია აუცილებლად მოხდება.

5.8. წინასწარი შეთანხმების გარეშე კომპანიას შეუძლია შეუწყვიტოს ან შეუზღუდოს მომხმარებელს ვებ-გვერდზე ან მომსახურებაზე წვდომა. ამავდროულად, კომპანია პასუხისმგებლობას არ იღებს იმ ზიანზე, რომელიც შესაძლოა მიადგეს მომხმარებელს ამგვარი ქმედებით.

5.9. კომპანია საკუთარ თავზე არ იღებს პასუხისმგებლობას, თუ მომხმარებლის მიერ ვებ-გვერდიდან ან ვებ-გვერდზე განთავსებული ბმულის გამოყენებით ნებისმიერი სახის ინფორმაციის ან/და პროგრამის ჩამოტვირთვისას ზიანი მიადგება მომხმარებლის ან ნებისმიერი მესამე პირის კომპიუტერს (ან მის რომელიმე ნაწილს) მობილურ ტელეფონის, ან სხვა სახის მოწყობილობების.

5.10. კომპანია გათავისუფლებულია ისეთი პასუხისმგებლობებისგან, როგორებიცაა: სატელეფონო ქსელების, კომპიუტერული სისტემების, სერვერების ან პროვაიდერების, კომპიუტერული ან სატელეფონო მოწყობილობების პროგრამული უზრუნველყოფა, ელ. ფოსტის სერვისების ტექნიკური გაუმართავობა ან სხვა სახის ტექნიკურ ხარვეზები; დაშვებები, შეცდომები; შეწყვეტები და დაყოვნებები მონაცემთა დამუშავებისა და გადაცემისას; დეფექტები; მომხმარებლის მასალების მოპარვა, განადგურება და არასანქცირებული წვდომა.

რედაქტირებულია: 12.06.2019